საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

კოალიცია
დამოუკიდებელი
და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის
Coalition for
an Independent and
Transparent Judiciary

წინადადებები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის კრიტერიუმებთან და პროცედურასთან დაკავშირებით

კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების **შერჩევის კრიტერიუმებთან** და **პროცედურებთან** დაკავშირებით, წინადადებები და რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს წარუდგინა, რომელიც სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს.

იმისთვის, რომ ქვეყნის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს დაკომპლექტების პროცესი ობიექტურად და გამჭირვალედ წარიმართოს, კოალიციას მიაჩნია, რომ საჭიროა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ მოსამართლე და არამოსამართლე წევრთა დაუყოვნებლივ გადადგომა, რომლებმაც 2018 წლის 24 დეკემბერს მხარი დაუჭირეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა სიის წარდგენას საქართველოს პარლამენტში. კოალიციას მიაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენა და არჩევა მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს **განახლებული შემადგენლობის** პირობებში და შესაბამისი **საკანონმდებლო ცვლილებების** განხორციელების შემდეგ უნდა გაგრძელდეს.

რაც შეეხება, პარლამენტის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით შექმნილ სამუშაო ჯგუფს და კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებზე მუშაობის პროცესს, კოალიციას მიაჩნია,

რომ სამუშაო ჯგუფის არსებული შემადგენლობა ვერ უზრუნველყოფს პროფესიული და დაინტერესებული ჯგუფების სამართლიან წარმომადგენლობას. სამუშაო ჯგუფის უმრავლესობას შეადგენენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები და ის მოსამართლეები, რომელთა პირდაპირი დაინტერესება იყო დაჩქარებული წესიით სიის განხილვა და დამტკიცება. არსებული შემადგენლობით ჯგუფის შენარჩუნება გამორიცხავს რეალურ ცვლილებებზე მსჯელობას და მოემსახურება მხოლოდ პროცესის კოსმეტიკურ შელამაზებას. ამის გათვალისწინებით, კოალიცია უარს ამბობს სამუშაო ჯგუფში მონაწილეობაზე და მიმართავს პარლამენტს არსებითად გადახედოს შექმნილ ფორმატს და ჯგუფის შემადგენლობას.

რაც შეეხება კოალიციის მიერ წარდგენილი წინადადებებს, მიგვაჩნია, რომ უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა არჩევის პროცესი სამ ძირითად პრინციპს უნდა ეყრდნობოდეს:

- დამსახურებაზე დაფუძნებული მიდგომის უზრუნველყოფა;

- არჩევის პროცესის გამჭვირვალობა და ღიაობა;

- პროცესის ობიექტურად და მიუკერძოებლად წარმართვა.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შერჩევის პროცესის მთავარი ელემენტები უნდა იყოს:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ **ღია კონკურსის** გამოცხადება, რაც გულისხმობს შესაძლებლობას ყველა მსურველმა, რომელიც ფორმალურად აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს მონაწილეობა მიიღოს გამოცხადებულ კონკურსში;

- კანდიდატის ვალდებულება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია მის შესახებ, მაგალითად: სრული დეტალური ბიოგრაფია, რომელიც მოიცავს სრულ პროფესიულ კარიერას, მათ შორის აკადემიურ საქმიანობას (სამუშაო გამოცდილებაში ზუსტი თარიღებისა და უშუალო ხელმძღვანელ(ებ)ის მითითებით); ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ან გაეროს კომიტეტს თუ აქვს მიღებული გადაწყვეტილება რომელიმე საქმესთან დაკავშირებით, სადაც კანდიდატი მოსამართლე ან პროკურორი იყო; როგორც ადვოკატს თუ აქვს ნაწარმოები საქმე საკონსტიტუციო სასამართლოში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში ან/და საერთაშორისო არბიტრაჟებში; შემოსავლის წყაროები ბოლო 6 თვის განმავლობაში და ა.შ.

- საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს უვადოდ დანიშნული მოსამართლის თანამდებობასთან **კანდიდატების შესაბამისობის შემოწმება** ღია მოსმენით, დამსახურების პრინციპისა და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე;

- საბჭოს მიერ კანდიდატების ნომინირება მოსამართლე წევრების ხმათა 2/3-ითა და არამოსამართლე წევრების ხმათა 2/3-ით; გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება და საბჭოს მიერ პარლამენტისთვის სულ მცირე, 3 კანდიდატის წარდგენა თითოეულ ვაკანსიაზე;

- იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტება, კომპეტენცია და მის მიერ კანდიდატის შეფასება; კერძოდ სამუშაო ჯგუფი უნდა შედგებოდეს მაღალი რეპუტაციის მქონე 7 წევრისგან, რომელთაგან 2 წევრს ასახელებს უმრავლესობა, 2 წევრს უმცირესობა, ერთი არის ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელი, ერთი სახალხო დამცველი ან მისი წარმომადგენელი, ხოლო 1 ექსპერტს ასევე ასახელებს სახალხო დამცველი. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ჯგუფის წევრთაგან უნდა აირჩიოს თავად სამუშაო ჯგუფმა;

- კომიტეტის სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული და დამუშავებული მასალებისა და ინფორმაციის, ასევე თითოეულ კანდიდატზე საბოლოო დასკვნის ხელმისაწვდომობა იურიდიული კომიტეტისათვის;

- კანდიდატის საჯარო მოსმენა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე. **მედიას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, გადაიღოს გასაუბრების პროცესი**;

- იურიდიულ საკითხთა კომიტეტის **დასკვნა**; ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მიუხედავად კომიტეტის დასკვნის შინაარსისა;

კოალიციის მიერ წარდგენილ რეკომენდაციებს თან ერთვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები და მოსამართლეობის მსურველი პირის მიერ კონკურსში მონაწილეობისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

Image not found or type unknown